

„და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“-ს
დირექტორატის მიერ 2015 წლის 01 სექტემბრის № 9-9 ბრძანებით

-----/ლალი გარდაფხაძე/

-----/ნინო ქადაგიძე/

შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“

წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

თბილისი 2015

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ (შემდგომში - სკოლა) „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს ამისთვის საჭირო წესებს.

1.2 დაწესებულებაში გადამდები დაავადებების, საგანგებო სიტუაციების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის, ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 20 აპრილის „საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ #28/ნ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი.

1.3 ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს, უნდა მოხდეს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან დაკავშირება.

მუხლი 2. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

2.1 წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს შემდეგი წესები:

- ✓ სკოლაში გაკვეთილების პერიოდში იკრძალება ხმაური, მუსიკის მოსმენა დერეფნებში ყურსასმენების გარეშე.
- ✓ დაუშვებელია კლასების თვითნებური დატოვება გაკვეთილის მიმდინარეობის პერიოდში.
- ✓ დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე ადამიანის ღირსებისა და პატივის შემლახველი ნებისმიერი ქმედების ჩადენა.
- ✓ დაუშვებელია ნებისმიერი სახის კონფლიქტის გაღვივება, წახალისება, მასში ჩაბმა.
- ✓ დაუშვებელია გაკვეთილზე მობილური ტელეფონით სარგებლობა.
- ✓ დაუშვებელია სკოლაში ალკოჰოლური, თუ ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ გამოცხადება, ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებების მიღება.
- ✓ დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფეთქებადი, ნარკოტიკული საშუალებების, ყოველგვარი იარაღის შემოტანა.

2.2 სკოლის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

2.3 შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“ წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ასევე დარაჯის მეშვეობით, რომელსაც ევალება:

- ✓ მატერიალური საშუალებების დაუზიანებლად გამოყენების კონტროლი;

- ✓ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის ურთიერთობის ჯანსაღად წარმართვის კონტროლი და უწყესრიგობის შემთხვევაში პოზიტიური როლის შესრულება;
- ✓ დაწესებულებაში შემომსვლელთა მდგომარეობის კონტროლი. არ დაუშვას სკოლის ტერიტორიაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების შემოსვლა;
- ✓ წესრიგის დაცვა დერეფნებში გაკვეთილების მსვლელობისას და დასვენების დროს;
- ✓ გაარკვიოს იმ პირების ვინაობა, რომლებიც შემოდიან დაწესებულების ტერიტორიაზე;
- ✓ სკოლის ტერიტორიაზე კონფლიქტის შემთხვევაში გამოიძახოს საპატრულო სამსახური, რათა სკოლაში არ დაზიანდნენ მოსწავლეები და თანამშრომლები.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფორმირებული უნდა იყოს მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციას დაწესებულებას აწვდის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/მასწავლებელი ზეპირად, ან წერილობით, სკოლაში საბუთების შემოტანისას.

3.2 ინფორმაცია მოსწავლის/მასწავლებლის/თანამშრომლის ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ კონფიდენციალურია და ინახება შპს “ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ დირექციასთან. სკოლის დირექცია ვალდებულია იზრუნოს, შეუძლოდ მყოფ მოსწავლის/მასწავლებლის/თანამშრომლის მდგომარეობაზე, არ მოახდინოს მისი პრობლემის აფიშირება, მასთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები, აარიდოს ის ზედმეტ ინტერესს, ხალხმრავლობასა და ხმაურს, არ მიატოვოს გასაჭირში და იყოს მის მიმართ გულისხმიერი;

3.3 სკოლა ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ იყოს ზოგიერთი დაავადების (დიაბეტი, ეპილევსია, სხვა ქრონიკულად მიმდინარე დაავადებები) მქონე მოსწავლეები.

3.4 შპს “ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარში“ სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მოქმედებს შემდეგი მექანიზმები:

- ✓ მზადყოფნაშია ოთახი, სადაც შესაძლებელია პირველადი დახმარების აღმოჩენა და ინახება წნევის გასაზომი აპარატი, თერმომეტრი, ბინტი, ჭრილობის დამცავი პლასტიკი, სტერილური ბამბა და რამდენიმე სახეობის ისეთი წამალი, რომელთა გაცემა აფთიაქებში დაშვებულია ურეცეპტოდ და თავისუფალ გაყიდვაშია: ტკივილგამაყუჩებელი, წნევის დამწვევი, ტემპერატურის დამწვევი და სხვა.
- ✓ მედიკამენტების გამოყენება თანხმდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შექმნილი გარემოებების გამო, მასთან დაკავშირებისათვის საჭირო დროს შეუძლია გაართულოს შეუძლოდ მყოფი პირის მდგომარეობა;
- ✓ სკოლის დირექცია უფლებამოსილია შეუძლოდ მყოფ პირს არსებული რესურსის გამოყენებით შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოს მხოლოდ და მხოლოდ პირველადი მარტივი სამედიცინო დახმარება, რომლის გადადებაც მდგომარეობის გართულების აშკარა სამიშროების გამო დაუშვებელია.

✓ ავადმყოფობის შემთხვევაში, დირექცია, პირველ რიგში, საქმის კურსში აყენებს მშობლებს/წარმომადგენელს/ოჯახის წევრებს. თუ მოხერხდა მათი გამოძახება და ისინი გამოცხადდნენ დროულად, ვალდებულნი არიან გადაიყვანონ პირი სახლში, ან სამედიცინო დაწესებულებაში.

✓ ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მწვავე სამედიცინო პრობლემა (ავადმყოფობის მწვავე გართულება, შეტევები, უბედური შემთხვევა, ანდა მოსწავლის, მასწავლებლის/ თანამშრომლის სხეულის დაზიანება) და მოცდის საშუალება არ არის, დირექცია ვალდებულია, დარეკოს 112-ზე და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

3.5 მშობელი ვალდებულია, აცნობოს დირექციას წამლების მიღების იმ გრაფიკის შესახებ, რომლითაც შეიძლება მკურნალობდეს არასრულწლოვანი პირი. მედიკამენტი ბავშვს მიეწოდება დაწესებულებაში სკოლის ექთანის მიერ.

3.6 თუ ავადმყოფმა მოსწავლემ/მასწავლებელმა/თანამშრომელმა შესაძლოა ავადმყოფობა გადასდოს სხვებსაც, მან უნდა დატოვოს სკოლა დაინფიცირების საფრთხის სრულ აღმოფხვრამდე.

3.7 ავადმყოფობისას მოსწავლე/მასწავლებელი/თანამშრომელი სკოლის ტერიტორიას ტოვებს შემდეგ შემთხვევებში:

- მაღალი სიცხე– 37.5, ან მეტი;
- გულისრევა;
- ძლიერი ტკივილი;
- დიარეა;
- გაციება, ძლიერი სურდო, გრიპი,
- მწვავე ალერგია;
- მაღალი, ან დაბალი წნევა;
- დაბინდული მხედველობა;
- შესიებული ჯირკვლები კისერზე;
- ხველა, სპაზმები;
- პედიკულოზი;
- სხვა შემაშფოთებელი სიმპტომები.

მუხლი 4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

4.1 შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ მიერ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია შემდეგი მექანიზმები:

✓ სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ტელეფონის ნომრები (112).

✓ სკოლაში ხანძრის ჩაქრობის საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე.

4.2 დაუშვებელია დერეფნების, კაბინეტებისა და სასკოლო ოთახების გაწმენდა ადვილად აალებადი ნივთიერებების გამოყენებით; კიბის უჯრედებში და დერეფანში ქაღალდების, ნამწვავებისა და ასანთის ღერების დაყრა, შეზეთილი გასაწმენდი მასალების აულაგებლად და ელექტროქსელში ზედამხედველობის გარეშე ელექტროგამათბობლების ჩართულ მდგომარეობაში დატოვება.

4.3 სასწავლო წლის დაწყების წინ სასწავლებლის შენობა უნდა შემოწმდეს ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე დირექციის მიერ. ამ მიზნით შემმოწმებელ ჯგუფში შეიძლება მოწვეულ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის წარმომადგენელი ან/და დარგის სპეციალისტი.

4.4 სასწავლო კლასებსა და კაბინეტებში სასწავლო ინვენტარის რაოდენობამ და განლაგებამ არ უნდა შექმნას მოსწავლეებს ოთახიდან გასვლის სირთულე.

4.5 დაწესებულების თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ეს წესი უნდა იქნას გასაცნობად ხელმისაწვდომი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესასწავლად და დასაცავად.